

ახალი მიდგომა ინტერნეტული საინფორმაციო-საძიებო სისტემების აგების ტექნოლოგიაში (www.e-info.ge-ს მაგალითზე)

თეიმურაზ დოლიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

განხილულია ინტერნეტ საინფორმაციო-საძიებო სისტემების აგების ახალი მიდგომა, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს არა მარტო მიიღოს ინფორმაცია საძიებელი პროდუქტის ან მომსახურების შესახებ, არამედ განახორციელოს აღნიშნული ინფორმაციის პირველადი ანალიზი და შეფასება.

საკვანძო სიტყვები: ახალი მიდგომა. ინტერნეტ სისტემა. საინფორმაციო-საძიებო სისტემა. სისტემის აგების ტექნოლოგია. ინფორმაციის ანალიზი. ინფორმაციის შეფასება.

1. შესავალი

21-ე საუკუნის დასაწყისში ინტერნეტ-ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარება ბუნებრივად ზრდის კაცობრიობის მიერ ვიზუალური, ობიექტ-ორიენტირებული დაპროგრამების სფეროში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე ინტერნეტში ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობებს [1]. ამავე დროს, მწვავედ სვამს პრობლემას მხოლოდ აუცილებელი ინფორმაციის ამოკრეფის შესახებ ინტერნეტში განთავსებული ინფორმაციის ოკეანედან.

სამწუხაროდ, საძიებო სისტემები მომხმარებლის მიერ დასმული შეკითხვის პასუხად, მას აწვდის ვებ-გვერდების მისამართებს - რომლებზეც შეიძლება არსებობდეს სასურველი ინფორმაცია, და არ თავად ინფორმაციას, რაც იძულებულს ხდის მომხმარებელს შევიდეს თითოეულ ვებ-გვერდზე, რაც ბუნებრივად დაკავშირებულია დამატებით დროით დანახარჯებთან. აღნიშნულს თუ დაუმატებთ იმასაც, რომ დღეისათვის არ არსებობს ვებ-გვერდების შექმნის ერთიანი იდეოლოგია და ზოგადი მიდგომა, და ამიტომ ვებ-გვერდები იქმნება ინდივიდუალურად, ყოველგვარი ერთიანი სტრუქტურისა და იდეოლოგიის გარეშე, ყოველივე ეს ართულებს ვებ-გვერდზე ნავიგაციის სისწრაფეს, და კიდევ უფრო ზრდის სასურველი ინფორმაციის მიღების დროს (ნახ.1).



ნახ.1

2. ძირითადი ნაწილი

დასმული იქნა ამოცანა ისეთი საინფორმაციო სისტემის აგების შესახებ, რომელიც:

1. მომხმარებლის მიერ დასმული შეკითხვის პასუხად მიაწვდიდა მას არა ვებ-გვერდების მისამართებს, არამედ თავად ინფორმაციას საძიებელი პროდუქტის ან მომსახურების შესახებ;
2. საშუალებას მისცემდა მომხმარებელს მიეღო არა მხოლოდ მისთვის სასურველ პროდუქტზე/მომსახურებაზე ინფორმაცია, არამედ საშუალება ჰქონოდა განეხორციელებინა საძიებელი პროდუქტის/მომსახურების პირველადი ანალიზი და შეფასება [2].

ავტორის მიერ დამუშეულ იქნა სპეციალური საინფორმაციო-საძიებო სისტემა www.e-info.ge, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ ორივე კრიტერიუმს, და რომელიც წარმატებულად ფუნქციონირებს უკვე ნახევარი წელია (ნახ.2).

კომპანია	მშენებარე / დასრულებული ბინები	ადგილმდებარეობა მისამართი	დასრულების თარიღი ჩაბარების პირობები	1 კვ მ ფასი \$
		თბილისი საბურთალო საბურთალოს ფიჭვნარი ნუგზბიდის ქ. 127	2007 წელი თეთრი კარკასი	1000 \$-დან
		თბილისი ბაგები ვაკე შალასი	2007 წლის დეკემბერი თეთრი კარკასი	800 \$-დან
		ბაკურიანი ვილა მთაში	2009 წელი თეთრი კარკასი (რემონტის ქვეშ)	700 \$-დან
		თბილისი საბურთალო მარიჯანის და ვ.ფშაველას კუთხე	თეთრი კარკასი ხელშეკრულების მიხედვით	დაუკავშირდით ტელ.: 25 26 26

ნახ.2

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საუკუნის დასაწყისში ინტერნეტის მომხმარებელთა სწრაფი ტემპით ზრდამ ბუნებრივად განაპირობა პროდუქციისა და მომსახურების რეკლამირების ვექტორის გადანაცვლება ტელევიზიიდან ინტერნეტში. ოფიციალური მონაცემებით 2005 წელს მსოფლიო მასშტაბით ინტერნეტ რეკლამირებაზე დაიხარჯა 2-ჯერ მეტი თანხა, ვიდრე ტელე და რადიორეკლამირებაზე ერთად აღებული. ინტერნეტ ტექნოლოგიების სწრაფი ტემპით განვითარება დღითიდღე ზრდის ინტერნეტის პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობებს პროდუქციის და მომსახურების რეკლამირების სფეროში. სწორედ ამიტომ, ექსპერტების შეფასებით 21-ე საუკუნე მიეკუთვნება ინტერნეტ-რეკლამირების საუკუნეს.


სტატიაში შემოთავაზებული მიდგომით საინფორმაციო-საძიებო სისტემების აგების ტექნოლოგია საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას რამდენიმე ახალი შედეგი, რომელსაც ინტერნეტ რეკლამირების თვალსაზრისით დიდი პერსპექტივა აქვს.

1. აღნიშნული მიდგომით მიღებული მონაცემები:
 - ფიზიკური პირებისათვის წარმოადგენს ინფორმაციას;
 - იურიდიული პირისათვის წარმოადგენს რეკლამას (ნახ.2 და 3).



ნახ.3

2. აღნიშნული მიდგომა და ძიების შედეგების ცხრილური მეთოდით წარმოდგენა საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნას პროექციისა თუ მომსახურების რეკლამირების ე.წ. „საარჩევნო პრინციპი“, როდესაც ერთი და იმავე სარეკლამო ბანერის განთავსება ხორციელდება ერთმანეთის მიყოლებით 20 ან მეტ ადგილზე, რაც წარმოადგენს ახალ მიდგომას ინტერნეტ რეკლამირების ტექნოლოგიაში (ნახ.4,5).



ნახ.4

ლოგო	ფოტო	სახელწოდება	საშუალოდგერი/პროდუქტის პრიორიტეტი / მწარმოებელი	საშუალოდგერი/პროდუქტის პრიორიტეტი / მწარმოებელი	კონტაქტური	დღელი რეკლამისთვის
		sony	ტელევიზორები ფილმობიექტორები კომპიუტერული ტექნიკა გაორკულო ფილტრტექნიკა კამერები DVD	ვიდეოკამერები საბუნების კომპიუტერი HIFI სისტემები სუბსონი პირბრუნული ტექნიკა საგამომწოდო ტექნიკა	თბილისი მასაშენი რუსთაველის 30 82 30 00; 86 67 76 sony@sony.ge http://www.ge.sony.ge	საბანკო ბანკი PEOPLE'S BANK
		panasonic	ტელევიზორი სისტემები	საფილმობიექტორები	თბილისი შუტინისა 82 35 16; 82 26 83; 82 26 89 shop@panasonic.ge www.panasonic.ge	საბანკო ბანკი PEOPLE'S BANK
		iris	მუხრანის ტიპი ჩაფენი თბილისი	მუხრანის ტიპი უილი მუხრანის ტიპი	თბილისი ქსნის 12 81 77 74; 89 96 34 iris@iroplus.ge http://www.irisplus.ge/index.php	საბანკო ბანკი PEOPLE'S BANK
		rice	ტელეკომუნიკაციები კომპიუტერული ტექნიკა ელექტრონიკა სტრუქტურა-სექტორი საინჟინერო ტექნიკა	სერვისცენტრები სასაჩუქრის სისტემები MOTOROLA PANASONIC SHARP HERMID	თბილისი საზღვრისა ელ. კარაგისა 33 14 21; 25 00 41 info@rice.com.ge http://www.rice.com.ge	საბანკო ბანკი PEOPLE'S BANK
		deval	მუხრანის ტიპი ინჟინერის ნაღისთვის	საინჟინერო	თბილისი საზღვრისა ელ. კარაგისა 25, 8 მტრ. 33 35 86 http://www.deval.ge/	საბანკო ბანკი PEOPLE'S BANK

ნახ.5

3. დასკვნა

ინტერნეტული საინფორმაციო სისტემების შემოთავაზებული ტექნოლოგია საშუალებას აძლევს მომხმარებელს მიიღოს ინფორმაცია საძიებელი პროდუქტის ან მომსახურების შესახებ, განახორციელოს აღნიშნული ინფორმაციის პირველადი ანალიზი და შეფასება და გამოიყენოს იგი ოპერატიული გადაწყვეტილების მისაღებად.

4. ლიტერატურა

1. სურგულაძე გ., დოლიძე თ., ყვავაძე ლ. კომპიუტერ-ვიზუალური დაპროგრამება. სტუ, თბილისი, 2006.
2. დოლიძე თ. საინფორმაციო საძიებო სისტემა: <http://www.e-info.ge>.

THE NEW APPROACH TO TECHNOLOGY OF CREATION OF THE INTERNET INFORMATION-SEARCH SYSTEMS (ON THE BASE OF [WWW.E-INFO.GE](http://www.e-info.ge))

Dolidze Teimuraz
Georgian Technical University

Summary

The new approach for creation of technology of the internet information-search systems is presented and discussed, that enables customers not only to get the desirable information about search products or services, but implement the first stage analyses and estimation of the information.

НОВЫЙ ПОДХОД К ТЕХНОЛОГИИ ПОСТРОЕНИЯ ИНФОРМАЦИОННО-ПОИСКОВЫХ СИСТЕМ ИНТЕРНЕТА (НА ПРИМЕРЕ www.e-info.ge)

Долидзе Т.Р.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматривается новый подход к построению интернетных информационно-поисковых систем, что позволяет пользователю интернета получить не только адрес или информацию о продукте или сервисе, но и провести первоначальный анализ и оценку этой информации.